სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქუჩა №1, ტელ: 0350 272 401, ელ. ფოსტა:
info@tesau.edu.ge

განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

„სპორტის“ საბაკალავრო პროგრამაზე მისაღები

გამოცდების სპორტული ტურის

დებულება

დებულება შემუშავებული და მიღებულია განათლების

მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს მიერ

ოქმი №3, 2015 წლის, 3 დეკემბერი

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე:

დეკანი დავით მახაშვილი

დამტკიცებულია იაკობ გოგებაშვილის სახელობის

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭის მიერ:

ოქმი №4, 2015 წლის, 16 დეკემბერი

აკადემიური საბჭის თავმჯდომარე:

რექტორი ირმა შიოშვილი

თელავი 2015

იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

„სპორტის“ საბაკალავრო პროგრამაზე მისაღები

გამოცდების სპორტული ტურის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

თელავი

მუხლი 1. დებულების რეგულირების სფერო

1. დებულება არეგულირებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში: უნივერსიტეტი) აბიტურიენტთა მისაღები გამოცდების სპორტული ტურის წესს, პირობებსა და ორგანიზების საკითხებს.

2. ამ დებულების სამართლებრივი საფუძვლებია "უმაღლესი განათლების შესახებ" კანონი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანება" ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ" და სხვა ნორმატიული აქტები.

მუხლი 2. უნივერსიტეტში სპორტის ბაკალავრის სპეციალობაზე აბიტურიენტის ჩარიცხვა

1. უნივერსიტეტში სპორტის ბაკალავრის სპეციალობაზე აბიტურიენტი ჩაირიცხება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანების "ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების მე-8 მუხლის, მე-3 პუნქტის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესით, რომელიც გულისხმობს აბიტურიენტთა ჩარიცხვას მხოლოდ დაწესებულების კონკურსის შედეგების მიხედვით – ერთიანი ეროვნული გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში, ერთიანი ეროვნული გამოცდების ქულების კოეფიციენტებით [illegible] გაუთვალისწინებლად;

სპორტის ბაკალავრის სპეციალობაზე აბიტურიენტები სპორტულ ტურის გამოცდებს აბარებენ საერთო ფიზიკურ მომზადებაში;

2. სპორტული ტურის შედეგების მიხედვით დგინდება აბიტურიენტის კომპეტენცია ფიზიკურ მომზადებაში, რაც ეროვნული გამოცდების დებულებით გათვალისწინებული სამი სავალდებულო გამოცდის მინიმალური კომპეტენციის გადალახვის შემთხვევაში ავლენს იმ აბიტურიენტების ნუსხას, რომლებიც მოიპოვებენ სწავლის გაგრძელების უფლებას შესაბამის ფაკულტეტზე.

2. ამ პროცესში უნივერსიტეტის სპორტული ტურის მიმღები კომისიის პასუხისმგებლობას განეკუთვნება მხოლოდ სპორტული ტურის ორგანიზება და კონკურსის შედეგების დროული მიწოდება ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირისათვის.

მუხლი 3. სპორტული ტურის შეფასების სისტემა

1. სპორტული ტური ფასდება კომისიის მიერ ასქულიანი სისტემით; მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 35 ქულა.

სპორტული ტურის ნორმატივები საერთო ფიზიკურ მომზადებაში ფასდება:

- რბენა 100 მ-ზე (გოგონები და ვაჟები) - მაქსიმალური 25 ქულა
- რბენა 1000 მ-ზე (ვაჟები) - მაქსიმალური 25 ქულა
- რბენა 500 მ-ზე (გოგონები) - მაქსიმალური 25 ქულა
- ადგილიდან სიგრძეზე ხტომა (გოგონები და ვაჟები) - მაქსიმალური 25 ქულა
- ღერძზე მიზიდვა (ვაჟები) - მაქსიმალური 25 ქულა
- მკლავების მოხრა-გაშლა ტანვარჯიშულ სკამზე (გოგონები) - მაქსიმალური 25 ქულა

2. მინიმალური კომპეტენციის ზღვრის არ გადალახვის შემთხვევაში აბიტურიენტი ითვლება ჩაჭრილად და ის არ დაიშვება კონკურსის მიმდევნო ეტაპზე - ერთიან ეროვნულ გამოცდაზე.

სპორტული ტურის ჩატარებამდე სპორტული ტურის სამდივნო კონკურსის ინფორმაციული უზრუნველყოფის მიზნით, ერთიანი ეროვნული გამოცდებისა და შეფასების ცენტრთან თანამშრომლობით ქმნის აბიტურიენტთა მონაცემთა ბაზებს. საგამოცდო კომისიის სამდივნო უზრუნველყოფს აბიტურიენტთა სპორტული ტურის შედეგების (როგორც ელექტრონული, ასევე ბეჭდური სახით) გადაგზავნას გამოცდების ეროვნული ცენტრისათვის.

სპორტული ტურის განაცხადი. აბიტურიენტთა რეგისტრაცია

კონკურსში მონაწილეობის მიღების საფუძველია აბიტურიენტთა რეგისტრაცია ერთიანი ეროვნული გამოცდებისა და შეფასების ცენტრისა და უნივერსიტეტის მიმღები კომისიის სამდივნოში.

სპორტულ ტურზე რეგისტრაციისათვის საჭიროა შემდეგი დოკუმენტების წარდგენა:

- სარეგისტრაციო ანკეტა;
- ცნობა ჯანმრთელობის შესახებ;
- 2 ფოტოსურათი /ზომა 3x4/;
- პირადობის მოწმობა /ასლთან ერთად/;

- ერთიანი ეროვნული გამოცდებისა და შეფასების ცენტრის მიერ გაცემული საგამოცდო-საიდენტიფიკაციო პლასტიკური ბარათი (დედანი და ასლი).

სარეგისტრაციოდ განაცხადისა და დოკუმენტაციის სრული პაკეტის წარდგენის შემდეგ აბიტურიენტზე გაიცემა საიდენტიფიკაციო ბარათი, რომელიც ადასტურებს მის უფლებას მონაწილეობა მიიღოს სპორტულ ტურში. ბარათში მითითებულია სპორტულ ტურზე მონაწილეობის წესი, ჩატარების ადგილის მისამართი და თარიღი. ბარათის გადაცემის ფაქტი დასტურდება აბიტურიენტის ხელმოწერით.

საიდენტიფიკაციო ბარათში აღნიშნული კონკურსის თარიღის შეცვლა დაუშვებელია. აბიტურიენტი ვალდებულია გამოცდაზე გამოცხადდეს დანიშნულ დროზე.

მუხლი 4. სპორტული ტურის პროცედურები

1. აბიტურიენტი ვალდებულია მისაღებ გამოცდაზე (ტურზე) გამოცხადდეს შესაბამის სპორტულ ფორმაში, 40 წუთით ადრე, მითითებულ მისამართზე და თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და სპორტული ტურის საიდენტიფიკაციო ბარათი;
2. საიდენტიფიკაციო ბარათი წარმოადგენს საშვს მისაღებ გამოცდაზე (ტურზე);
3. კონკურსის დაწყებამდე მიმღები კომისიის თავმჯდომარე მოკლედ გააცნობს აბიტურიენტებს სპორტული ტურის ჩატარებისა და მუშაობის წესებს, მათ უფლება- მოვალეობებს;
4. სპორტული ტურის მიმდინარეობას მოემსახურება სასწრაფო დახმარების ბრიგადა.

მუხლი 5. აბიტურიენტის უფლება-მოვალეობანი

1. აბიტურიენტი ვალდებულია:

სპორტული ტურის ნორმატივების ჩაბარებისას დაიცვას მსაჯობის წესები, ზუსტად შეასრულოს მიმღები კომისიის ინსტრუქციები და დაემორჩილოს მათ გადაწყვეტილებებს;

2. კონკურსის მსვლელობისას აბიტურიენტს ეკრძალება:

ა. სხვა აბიტურიენტისათვის რაიმე ფორმით ხელის შეშლა;

ბ. კონკურსის ადგილის უნებართვოდ დატოვება;

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, აბიტურიენტს მიეცემა გაფრთხილება, რაც ფორმდება ოქმით.

4. გაფრთხილების მიუხედავად, მოთხოვნების განმეორებითი დარღვევის შემთხვევაში ფორმდება ოქმი აბიტურიენტის სპორტული ტურიდან მოხსნის შესახებ.

მუხლი 6. სპორტული ტურის შედეგების გამოქვეყნება

შედეგები ქვეყნდება ტურის დამთავრებიდან არაუგვიანეს 3 დღის ვადაში უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

მუხლი 7. სპორტული ტურის შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წარდგენა და განხილვა

1. სპორტული ტურის ფარგლებში წარმოშობილი დავები განიხილება საპრეტენზიო/სააპელაციო კომისიის მიერ.

2. აბიტურიენტი უფლებამოსილია, შეიტანოს სააპელაციო განცხადება რექტორის ბრძანებით შექმნილ საპრეტენზიო/სააპელაციო კომისიის

სახელზე სპორტული ტურის შედეგების გამოცხადებიდან 24 საათის განმავლობაში. საპრეტენზიო განაცხადი საპრეტენზიო/სააპელაციო კომისიის სახელზე გარდება უნივერსიტეტის კანცელარიაში.

3. საპრეტენზიო/სააპელაციო კომისიის მიერ საპრეტენზიო განაცხადების განხილვის დასრულების შემდეგ აბიტურიენტს ეცნობება ინფორმაცია სპორტული ტურის საბოლოო შედეგების შესახებ.

4. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა.

5. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება განაცხადის განხილვასთან დაკავშირებით ფორმდება წერილობით.

მუხლი 8. სპორტული ტურის საბოლოო შეფასების დოკუმენტები

1. სპორტული ტურის დასრულების შემდეგ და საპრეტენზიო /სააპელაციო კომისიის მიერ აბიტურიენტთა პრეტენზიების განხილვიდან და გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 2 დღისა, სპორტული ტურის მიმღები კომისია თავმჯდომარეს წარუდგენს კონკურსგავლილი აბიტურიენტების სიას საბოლოო შედეგების მითითებით, რის შემდეგაც დოკუმენტაცია იგზავნება გამოცდების ეროვნულ ცენტრში და გამოქვეყნდება საჯაროდ.

დანართი 1. სპეციალობა - სპორტის ბაკალავრი (სპორტის სახეობის მიხედვით)

ვ ა ჟ ე ბ ი							
რბენა 100 მ. / წმ. /		რბენა 1000 მ. / წთ., წმ./		ადგ. სიგრძეზე ხტომა / სმ. /		ღერძზე მიზიდვა	
შედეგი	ქულა	შედეგი	ქულა	შედეგი	ქულა	შედეგი	ქულა
13,0	25	3.20,0	25	220	25	25	25
13,1	24	3.21,0	24	219	24	24	24
13,2	23	3.22,0	23	218	23	23	23
13,3	22	3.23,0	22	217	22	22	22
13,4	21	3.24,0	21	216	21	21	21
13,5	20	3.25,0	20	215	20	20	20
13,6	19	3.26,0	19	214	19	19	19
13,7	18	3.27,0	18	213	18	18	18
13,8	17	3.28,0	17	212	17	17	17
13,9	16	3.29,0	16	211	16	16	16
14,0	15	3.30,0	15	210	15	15	15
14,1	14	3.31,0	14	209	14	14	14
14,2	13	3.32,0	13	208	13	13	13
14,3	12	3.33,0	12	207	12	12	12
14,4	11	3.34,0	11	206	11	11	11
14,5	10	3.35,0	10	205	10	10	10
14,6	9	3.36,0	9	204	9	9	9
14,7	8	3.37,0	8	203	8	8	8
14,8	7	3.38,0	7	202	7	7	7
149	6	3.39,0	6	201	6	6	6
15,0	5	3.40,0	5	200	5	5	5
15,1	4	3.41,0	4	199	4	4	4
15,2	3	3.42,0	3	198	3	3	3
15,3	2	3.43,0	2	197	2	2	2
15,4	1	3.44,0	1	196	1	1	1

გოგონები							
რბენა 100 მ. / წმ. /		რბენა 500 მ. / წთ., წმ. /		ადგ. სიგრძეზე ხტომა / სმ. /		მკლავების მოხრა გაშლა ტანვარჯიშულ სკამზე	
შედეგი	ქულა	შედეგი	ქულა	შედეგი	ქულა	შედეგი	ქულა
15,0	25	2.00,0	25	190	25	25	25
15,1	24	2.01,0	24	189	24	24	24
15,2	23	2.02,0	23	188	23	23	23
15,3	22	2.03,0	22	187	22	22	22
15,4	21	2.04,0	21	186	21	21	21
15,5	20	2.05,0	20	185	20	20	20
15,6	19	2.06,0	19	184	19	19	19
15,7	18	2.07,0	18	183	18	18	18
15,8	17	2.08,0	17	182	17	17	17
15,9	16	2.09,0	16	181	16	16	16
16,0	15	2.10,0	15	180	15	15	15
16,1	14	2.11,0	14	179	14	14	14
16,2	13	2.12,0	13	178	13	13	13
16,3	12	2.13,0	12	177	12	12	12
16,4	11	2.14,0	11	176	11	11	11
16,5	10	2.15,0	10	175	10	10	10
16,6	9	2.16,0	9	174	9	9	9
16,7	8	2.17,0	8	173	8	8	8
16,8	7	2.18,0	7	172	7	7	7
16,9	6	2.19,0	6	171	6	6	6
17,0	5	2.20,0	5	170	5	5	5
17,1	4	2.21,0	4	169	4	4	4
17,2	3	2.22,0	3	168	3	3	3
17,3	2	2.23,0	2	167	2	2	2
17,4	1	2.24,0	1	166	1	1	1

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე
რექტორი ირმა შერმადინი